ხელშეკრულება №51

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა

მომსახურების შესყიდვა -გადაუდებელი აუცილებლობით

ქ. ზესტაფონი 18 თებერვალი 2023 წელი

ერთი მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მისი მერის ვასილ გველესიანი სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მისამართი: **ზესტაფონი, წერეთლის ქ. N11**

საიდენტიფიკაციო კოდი: **№230087045**

ტელეფონის ნომერი: **0 (492) 25 26 26**

საბანკო რეკვიზიტები: **სახელმწიფო ხაზინა**

ბანკის კოდი: **TRESGE22**

ანგარიშის ნომერი: **3001900000**

და მეორე მხრივ, შ.პ.ს. **,,სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **პაატა ღვინიაშვილი** (შემდგომში - მომწოდებელი),

მისამართი: **თბილისი, ორხევი, ზემო ალექსევევკას დას.**

საიდენტიფიკაციო კოდი: **№ 206348736**

ტელეფონის ნომერი: **599 60 43 43**

საბანკო რეკვიზიტები: **სს ,,ლიბერთი ბანკი“**

ბანკის კოდი: **LBRTGE22**

ანგარიშის ნომერი: **GE45LB0113119501141000**

ელ.ფოსტა: toidze@alsc.ge

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურეობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 17/02 /2023 წლის N 03-222304825 მოხსენებითი ბარათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 18 თებერვლის №22. 22230492 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების თოვლისგან გაწმენდის მომსახურეობის** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად

1.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: **90620000 - თოვლისაგან გაწმენდა (გადაუდებელი აუცილებლობა).**

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (1 საათის ღირებულება 150 ლარი).**

2.2. **დაფინანსების წყარო - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.**

2.3. მომსახურების შესრულების ადგილია: **ზესტაფონის მუნიციპალური გზების (ქალაქი და სოფელი) თოვლისგან გაწმენდითი მომსახურეობა უნდა განახორციელოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ქალაქის ჩათვლით.**

2.4. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი არ დაისაჭიროებს მომსახურეობისთვის განკუთვნილ ღირებულებას სრულად, მიმწოდებლის პრეტენზია გათვალისწინებული არ იქნება

მუხლი 3. მომსახურების შესრულების ვადა

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2023 წლის 20 მარტის ჩათვლით.**

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები

4.1.ვინაიდან წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება 200000 ლარზე ნაკლებია, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მოითხოვება.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

5.1.ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის გადარიცხვის ფორმით, ეროვნულ ვალუტაში _ ლარში.

5.2.ანგარიშსწორება იწარმოებს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული საგადასახადო დოკუმენტებისა (სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და სხვა დოკუმენტები) და ანგარიშსწორების შესახებ წერილობითი მომართვის საფუძველზე.

5.3.ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად (პერიოდულად), შუალედური ანგარიშსწორებით, რაზეც, წერილობით მოთხოვნასთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული საგადასახადო დოკუმენტაცია.ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1.შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 7. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1.მომსახურების მიწოდების მიღება წარმოებს მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება წერილობით ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარომადგენლის ხელისმოწერით ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის დასკვნისა და გაწეული მომსახურების მიხედვით.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

დ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ე) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად;

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვს მიმწოდებელ ნაკლის აღმოფხვრა.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1.ზამთრის პერიოდთან დაკავშირებით საჭიროა ქ. ზესტაფონში და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ცენტრალური გზების თოვლისგან გაწმენდის მომსახურეობა, რათა თოვლმა არ შეზღუდოს საავტომობილო გზებზე ავტო-ტრანსპორტის მოძრაობა. მომწოდებელს ევალება შემდეგი:

ა) აუცილებელ პირობას წარმოადგენს გზების თოვლისგან გაწმენდის მომსახურეობის შესრულება შემსყიდველის დაკვეთის შესაბამისად დასვენების დღეების ჩათვლით და არანორმირებულ საათებში. დიდთოვლობის შემთხვევაში ყველა დასახლებულ პუნქტში მიმავალი გზების გაწმენდა შეტყობინების მიღებიდან (სატელეფონო ან სხვა ფორმით) არაუგვიანეს 2 საათისა და დაასრულოს არსებული ვითარების სრულ აღმოფხვრამდე.

საჭიროების შემთხვევაში ერთდროულად მოახდინოს გაწმენდითი სამუშაოები მინიმუმ 5 ობიექტზე სხვადასხვა მექანიზმებით.

ბ) მიმწოდებელმა არ უნდა დააზიანოს არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა. მომსახურეობა უნდა გასწიოს გზის საფარის შესაბამისად. ასფალტიანი გზები უნდა გაიწმინდოს ბორბლიანი ტრაქტორით დაგებული ასფალტის მთელ საფარზე, ხოლო გრუნტის გზაზე გაიწმინდოს ორ მხრივად და გაკეთდეს ე.წ ,,ჯიბეები" ავტომანქანების გვერდის ასაქცევად.

გ),,მიმწოდებელმა'' გაწმენდითი სამუშაოები უნდა დაიწყოს მხოლოდ ,,შემსყიდველის'' მოთხოვნის საფუძველზე მისგან სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი ზედამხედველისა და შესაბამისის ტერიტორიული ორგანოებში მერის წარმომადგენლის მითითებულ მიმართულებებზე.

დ) მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის ,,3.1" პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ე) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს წერილობითი მოტივირებული პასუხი ყველა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხზე;

ვ) კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 9. კონტროლი (ინსპექტირება)

9.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

9.2. ინსპექტირებას განახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის N 43 259 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

101. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

10.2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ცვლილებ(ებ)ის შეტანა

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ, მაგრამ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულების ან/და საქონლის მიწოდების

ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, დაუყონებლივ ,(10 დღიან ვადაში) უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ჩაბარდეს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამ მუხლის ,,11.1." პუნქტის შესაბამისად.

11.4. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმოამდგენლების ხელმოწერებით.

11.5. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

11.6. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით.

მუხლი 12.. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტა)

12.1.ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0, 02 % ოდენობით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.2.1. ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 03 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ა.ბ)პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ა.გ.) შემსრულებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.3. შემსრულებელი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%–ის ოდენობით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 10 მაისის ჩათვლით.

მუხლი 14. უფლებების გადაცემა

14.1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თვისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაშ მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკებით.

მუხლი 15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილი, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - zestaponi.municipality@gmail.com) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

15.2.შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისთვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფროს გვიან დგება.

მუხლი 16. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ,02 (ორი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

მერი ვასილ გველესიანი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

გენერალური დირექტორი პაატა ღვინიაშვილი

AGRICULTURAL LOGISTICS AND SERVICES COMPANY LTD

Подписано цифровой подписью: AGRICULTURAL LOGISTICS AND SERVICES COMPANY LTD
DN: cn=AGRICULTURAL LOGISTICS AND SERVICES COMPANY LTD, 2.5.4.97=NTRGE-206348736, o=..., c=GE
Дата: 2023.02.20 11:03:18 +04'00'